„დინამოს" სტადიონი
Стадион „Динамо"

19
აპრილი
АПРЕЛЯ



სსრ კავშირის პირველობა
«დ ი ნ ა მ ო»
(თბილისი) —
«სპარტაკი»
(მოსკოვი)

ПЕРВЕНСТВО СССР
„ДИНАМО"
(Тбилиси) —
„СПАРТАК"
(Москва)

მატჩს სჯის საკავშირო
კატეგორიის მსაჯი
პ. ბელოვი (ლენინგრადი)

Матч судит
Судья всесоюзной
категории П. Белов
(Ленинград)

დასაწყისი 17 საათზე
Начало в 17 часов

# ფეხბურთი
# ФУТБОЛ

თბილისი 1959 ТБИЛИСИ

footballprogs.net

# დღეს გახსნაა!

დღეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე აღიმართება საბჭოთა კავშირის XXI საფეხბურთო ჩემპიონატის დროშა. დღესვე შედგება გათამაშების პირველი მატჩები კიევში, კიშინიოვში, კუიბიშევში, სტალინოსა და როსტოვში. 12 უძლიერესი იწყებს ბრძოლას პირველობისათვის.

დიდი და სერიოზული ამოცანებია დასახული წელს საბჭოთა ფეხბურთელთა წინაშე. მარცხიანი დებიუტი გასული წლის მსოფლიო ჩემპიონატში, აგრეთვე წაგება ინგლისის ნაკრებთან ლონდონში ნათლად მეტყველებს, რომ ჩვენს მოწინავე გუნდებშიც კი ყველაფერი წესრიგში არაა.

საგრძნობლად მოიკოჭლებს ფეხბურთელთა ტექნიკური მომზადება, ერთფეროვანი და ღარიბია ჩვენი გუნდების ტაქტიკური არსენალი, იშვიათად ვხვდებით ცალკეულ მოთამაშეთა მაღალ ინდივიდუალურ ოსტატობას. სწორედ იმითაა დიდმნიშვნელოვანი მომავალი სეზონი, რომ ეს ხარვეზები აღმოიფხვრას სასწრაფოდ და გადაჭრით.

ბევრი რამ აქვთ სასაყვედურო თავისი გუნდის მიმართ თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრებსაც. გადის წლები და ოდესღაც უძლიერესთა შორის მყოფი საქართველოს საუკეთესო კოლექტივი „ტკეპნის“ ადგილს ცხრილის ქვედა ნახევარში.

მაყურებელს სურს იხილოს ლამაზი, შინაარსიანი და მიმზიდველი ფეხბურთი. სურს, რომ საბჭოთა გუნდი უძლიერესი იყოს მთელს მსოფლიოში, ხოლო თბილისის „დინამომ“ დაიბრუნოს თავისი ტემპერამენტიანი, ცეცხლოვანი თამაში. იმედია, ახალი სეზონი სიხარულს მოუტანს ფეხბურთის მრავალრიცხოვან მოყვარულთ.

1 აპრილი

## ლაპარაკობენ მწვრთნელები

სპორტის დამსახურებული ოსტატი
ა. ჟორდანია
(„დინამო“)

ცნობილია, რომ თბილისის „დინამომ“ ამ ბოლო წლებში დაკარგა მოწინავე პოზიციები. არასახარბიელო ადგილი დაიკავა გუნდმა შარშანდელ ჩემპიონატშიც — მეცხრე. მაგრამ გუნდში არიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებსაც შეუძლიათ გუნდი აქციონ ძლიერ ძალად.

ამ ახალგაზრდობის საპატიო მოვალეობაა დაუბრუნონ თბილისის „დინამოს“ ძველი დიდება.

## ИНОСТРАННЫЙ ЮМОР



кинозвезда открывает

9 АПРЕЛЯ

# СЕГОДНЯ ОТКРЫТИЕ!

Сегодня на Тбилисском стадионе «Динамо» будет поднят флаг XXI первенства СССР по футболу. Сегодня же состоятся первые матчи в Киеве, Кишиневе, Куйбышеве, Сталино и Ростове. 12 сильнейших вступают в борьбу за первенство.

Большие и серьезные задачи стоят в этом году перед советскими футболистами. Неудачный дебют в мировом чемпионате в прошлом году и крупный проигрыш сборной Англии в Лондоне еще раз напоминают, что даже в лучших наших командах не все обстоит благополучно.

Невысок уровень технической подготовки наших футболистов, очевидно, что нашим командам надо разнообразить и обогащать технику игры.

Много справедливых упреков высказывают по адресу своей команды приверженцы тбилисского «Динамо»! Вот уже сколько лет одна из сильнейших некогда команд, лучший футбольный коллектив Грузии «топчется» на одном месте в нижней половине таблицы.

Зритель хочет видеть красивый, содержательный и захватывающий футбол. Хочет, чтобы советская команда была сильнейшей в мире, а тбилисское «Динамо» играло попрежнему темпераментно, остро. Будем надеяться, что новый сезон принесет радость многочисленным любителям футбола.




футбольный сезон

## ლაპარაკობენ მწვრთნელები

სპორტის ოსტატი
ნ. გულიაევი
(„სპარტაკი“)

ჩემპიონის წინააღმდეგ ყოველი გუნდი ცდილობს საგანგებოდ ითამაშოს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ „სპარტაკი“ თასის მფლობელიცაა, ცხადია, ჩვენს წინააღმდეგ გაორკეცებული ძალით იბრძოლებენ.

მაგრამ ეს არ გვაშინებს. შევეცდებით შევინარჩუნოთ გასული წლის მონაპოვარი.

## СОСТАВЫ КОМАНД НА 19 АПРЕЛЯ

### «СПАРТАК» (Москва)

Старший тренер Н. Гуляев
Капитан команды И. Нетто




Капитан команды А. Гогоберидзе
Старший тренер А. Жордания

### «ДИНАМО» (Тбилиси)

О возможных изменениях в составах команд слушайте по радио.

ფასი 50 კაპ. Цена 50 коп.

Зак. 504 тираж 12.000 УЭ 02613

footballprogs.net